

1
1958

ქრონოლოგიური
ბიბლიოთეკა



- ჩინელები გვაფრთხილებენ, სერ,
- დიპლომატებს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩინური ჩვენ არ გვეხზის.
- როგორც ჩანს, მაინც გაგვაგებინებენ.

№ 20

თბილისი ოპერა

1958



გამოსვლის XXXVI წელი. წიკი 2 მან.

М. П. 12016

ვინაც არ ხჯერა, აგერ არის დეპუტა
და წაიკითხოს.

გაუზვიადებლადვე უნდა ვკითხოთ გარდაბნის რაიონის ჯან-
განყოფილებას და საქ. სსრ ჯანდაცვის სამინისტროს: როდემდის
გაგრძელდება ასე? **გულუშემატოვნები**

გულუშემატკივრები



21/9 2110
47

ТЕЛЕГРАММА

21 3 17 32

21/9 2110

21 3 17 32



პაღარი **ჩინოვნიკის**

„ჩემი საყვარელი საბრალო დეიდა“

ლიბრეტო: ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ქარელის ქუჩის № 9-ში უზრუნველად ცხოვრობენ მოქალაქენი. ერთ მშვენიერ დღეს „დინამოს“ ქარხნისა და ამ სახლის შუაგამყოფი კედელი დაინგრა. ნგრევამ ორღობეში წარმოშვა უფსკრული, რომელზეც გადებული იქნა სამიოდე ღერი ფიცარი და ეწოდა მას გზა. სამი წლის განმავლობაში ამ გზით დადიან სახლის ბინადარნი. ბევრი მათგანი გადაიჩეხა ცხოვრების ამ ვიწრო ბილიკზე. ბევრმა დედამ ღვარა ცრემლი და სწერა განცხადება რაიკომსა, მაგრამ გზა არ გასწორდა. ამ კადრზე აღბეჭდილია მომენტი, როდესაც ფილმის ერთი გმირი ემუღარება მეორე გმირს:

— დეიდა, არ წაჩვიდე, გადაიჩეხები.
— ვერ დაიჭირავს სიკვდილსაო, — პასუხობს მეორე და მაინც მიდის.

— ჩემი საყვარელი საბრალო დეიდა! — აღმოხდება დარჩენილს. მაყურებლისათვის ნათელია ფილმის ტრაგიკული ფინალი. დეიდა ვერ გადარჩება. თპერატორი ნიჭიერად სწყვეტს ფინალურ სცენას, იგი არ გვაჩვენებს გაშიშვლებულ ტრაგიზმს. დაე მაყურებელმა თვით აღიქვას საშინელება.

ამ ფილმის მეორე სერიაში ნაჩვენებია იქნება ჩატარებული მამული საშუალები.

ახადგაზრდა დიასახლისების დასახმარებლად

როგორ უნდა მოუპოვოთ ნაღვინავ მუღლეს

თუ თქვენი მუღლესი სახლში მთვრალი მოვიდა, ნუ აუხირდებით, წაისვით ხელზე ნიშადურის სპირტში გახსნილი მენტოლის საცხი და ამოსცხეთ ცხვირში, წასცხეთ კისერში და, რაც შეიძლება მაგრად დაზილეთ, შემდეგ გაუშალეთ ლოგინი და გახადეთ ისე, რომ... მტკვარმა ველარ გარეცხოს.

როგორ მზადდება ოჯახში აყადმუყალი

შეუკეთეთ თქვენს მუღლესს ნელი ცეცხლი, დაასხით თავზე 100-პროცენტიანი თავსლაფი, დააყარეთ გემოვნების მიხედვით ქოქოლა და აურიეთ ადუღებამდე.

რეცეპტურა გრ. ჩიქვილაძისა

მინიშნულება

სიყვარული და ოჯახი

ორი კაცი შეხვდა ერთმანეთს.

— გაიგე? — უთხრა ერთმა. — ჯერ შვიდი თვე არ გასულა ქორწილის დღიდან და გერასიმეს უკვე გაუგდია ცოლი.

— არ ეყოთ, შე კაცო?! შვიდი წელი უყვარდათ ერთმანეთი?! — მიუგო მეორემ.

ცოცხალმკვდარი კომედი

ერთი პოეტი მეტად ცუდ მდგომარეობაში იყო, დღე-დღეზე სიკვდილს ელოდა.

რადგან მის სიკვდილში ეჭვი არ ეპარებოდა არავის, გამოცემლობის დირექტორმა ითავა მისი წიგნის გამოცემის საქმე, მაგრამ მოვლენები უცებ შეიცვალა და პოეტი რაღაც განგების ძალით კარგად გახდა.

გამომცემლობის დირექტორმა ბარათი გაუგზავნა პოეტს:

„გირჩევთ დაუყოვნებლივ გაემგზავროთ იმ ქვეყანას. ხვალ თქვენი წიგნი გამოდის ბაზარზე. ცოცხალი ვერ გადაურჩებით მკითხველთა რისხვას, მიცვალებულს კი გაბატონებენ“.

გ. კაზაროვი



დირექტორი — მე თუ მკითხავ, ეს ძირითადი შემადგენლობა დუბლირებით რომ შეცვალონ, ის ჯობია.

მოადგილე — როგორც ხამხანურში, აქაც მართალი ბრძანდება, სიმონი!



ნახ. თ. შირვაშვილისა

ცოლი — შენ გაგისკდა შიწა და წადი მოუხავლეოში.
ქმარი — შეუცვლედი ხალხი არ არსებობს, იქაც მოადგილეს გავაგ-
ზავნი.



შენი მ
უმთხრომელი

ორი ამრევი

კლიენტმა ღვინის გამყიდველს ჰკითხა: ამ კასრში რამდენ წყალს ურევო.

— ცოლ-შვილს ვფიცავარ, რომ სიმართლეს გეტყვოდი, მაგრამ არ ვიცი ჩემი მეგობარი რამდენს ურევსო.

ორ ცვლად მუშაობდნენ და ორივე ურევდა.

ადგილობრივი მნიშვნელობის მკვდარი

ძუნწს, რომელსაც მამა გარდაეცვალა, უთხრეს სამგლოვიარო განცხადება რესპუბლიკურ გაზეთში გამოვაქვეყნოთო.

— რამდენი დაჯდება?

— ამდენი და ამდენი.

— ადგილობრივ გაზეთში?

— ამდენი.

— მამაჩემი ადგილობრივი მნიშვნელობის მკვდარია და ადგილობრივ გაზეთში გამოვაქვეყნოთო, — თქვა მემკვიდრემ.

სიყვარულით გაკუთვლი

ერთმა თმაშევერცხლილმა კაცმა ორი საყვარელი გაიჩინა: ხნიერი და ახალგაზრდა. ხნიერი შავ თმებს აგლეჯდა, ახალგაზრდა — თეთრს და ერთ თვეში შესაწვავი გოჭივით გაკუთეს.

ქარაშოტი

ნიანგის ვიქტორინა

- 1) იბრუნებდა თუ არა დედამიწა მზის გარშემო ბორჯომის წყალი რომ სხვაგანაც იყიდებოდნენ, გარდა რუსთაველის პროსპექტისა?
- 2) რა სიშორიდან უნდა ისროლო პაპიროსის ნაწი-ვი, რომ ურნაში არ ჩავარდეს?
- 3) გააცილებდით თუ არა მატარებელზე თქვენს ახ-ლობელს, ბაქანზე გასასვლელი ბილეთი რომ 50 კა-პიკი ღირდეს?
- 4) რომელი მარკის მანქანა გაასწრებს რუსთაველის პროსპექტზე — „პოპედა“ თუ „ვოლგა“, ახალი „მოს-კვიჩი“ თუ ძველი „მოსკვიჩი“?
- 5) დგას თუ არა მოწოდების სიმაღლეზე:
 - ა) ფუნიკულორის რესტორანი,
 - ბ) სატელევიზიო კოშკი.
- 6) რატომ ანთია ქუჩებში ღამით დღის ნათურები და დღისით — ღამის ნათურები?
- 7) რატომ არ ჰქვია პაპიროს „კურორტნის“ „ყაზ-ბეგი“ და „ყაზბეგს“ — „კურორტნი“? (ტყუპები არიან?).

ოცმა ალფაიმი



ნახ. გ. ფირცხალავასი

ავადმყოფი — ექიმო, როგორც ვხედავ, ჩემს თვა-ლებს არაფერი ეშველა.
ექიმი — აჰა! უკვე ხედავთ??



წერილები რედაქციას გამარჯობა, ნიანგი!

მართალი რომ გითხრათ, მერიდება კი ჩვენი სიბნელის გამოტანა დღის სინათლეზე, მაგრამ გულს იმით ვირმედებ, რომ ბნელში ვხივარ და არ ვჩანვარ.

ამ ათი წლის წინათ ბუკ-ნალარამ აუწყა ჩოხატაურის რაიონის შუაგანახლების, ძირაგანახლების, სამებისა და სხვა სოფელთა მცხოვრებთ, რომ დაიბადა მათი ელსადგური „სუფტესი“. სუფტესმა პირველად მართლაც რომ ნათელი მოჰქონა ზემოხსენებულ სოფლებს, მაგრამ შემდეგ, თითქოს რაღაც იწყინაო, უკლო და უკლო სინათლეს და ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ მზეუტავე ელნათურების მოძებნისათვის კრაქის ანთებაც კი გახდა საჭირო. ელსადგური დამის 12 საათიდან მამლის ყვილამდე აძლევს სინათლეს (თუ, რა თქმა უნდა, ამას სინათლეს ვუწოდებთ). სამაგიეროდ, სინათლის ფულის გადახდა პრაქტიკაში შემორჩა.

ჩოხატაურის რაიონის
მკვიდრი სანდრო
ჯამბახიძე

ნიანგი

პატივცემულო ნიანგი!

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ჩვენი საფოსტო მუშაკების მუშაობამ. საქმე ისაა, რომ თბილისიდან ტაბახმელაში გამოგზავნილი წერილი მომივიდა ოცი დღის შემდეგ.


დავხედე კონვერტს და თვალებს არ დავუჯერე, არ ვიცი რა მოსაზრებით და კონვერტს თორმეტი შტამპი აზის. დიდი ხნის გულმოდგინე ძიების შემდეგ დადგინდა შემდეგი: 1958 წლის 8 აგვისტოს თბილისის მეორე საფოსტო განყოფილებას დაუსვამს ბეჭედი წერილზე, ამის შემდეგ გაურკვეველია თუ რა მიზეზით შეჩერდა წერილი თბილისის მეორე საფოსტო განყოფილებაში ორი დღე. თერთმეტ აგვისტოს დასმული ბეჭედი გვაუწყებს, რომ კოჯრის საფოსტო განყოფილებაში მიუღიათ ეს წერილი, შემდეგ კვლავ დაუსვამთ ბეჭედს, შემდეგ ისე მოსწონებიანთ ეს საქმიანობა, რომ ყოველდღე დაუსვამთ ბეჭედები, რაც 25 აგვისტომდე გაგრძელდებოდა, შემდეგ კი გადაუგზავნიან თბილისის მეორე საფოსტო განყოფილებისათვის, რომელსაც თავის მხრივაც დაუსვამს ბეჭედი. რის შემდეგ კოჯრის საფოსტო განყოფილებას კვლავ რამდენიმე ბეჭედი დაუსვია და ბოლოს უნებებიათ ჩემთვის გადმოცემა.

ძვირფასო ნიანგი, ხომ ვერ გვეტყვი, რატომ აზის კონვერტს ამდენი ბეჭედი?

პატივისცემით **გ. გეგელაშვილი**

ამხანაგო გეგელაშვილო, ჩვენი აზრით, კოჯრის საფოსტო განყოფილებას აზის დაუდევრობის ბეჭედი.

ნიანგი.



ნახ. დ. ყრიხთაძე

— დედა, რატომ იკეთებენ მხახიშობები გრიმს?
— ეშინიათ ქუჩაში არავინ იცნოს.



სალამი ნიანგს!

ჩვენზე კარგად მოგეხსენებათ, რომ ტრანსპორტი არავის არ ესაჭიროება ისე, როგორც მგზავრს. ჰოდა, ჩვენც მგზავრები ვართ. ჩამოვდივართ საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ავტოსადგურში და ველოდებით ტაქსებს. მაგრამ რა დაგიკარგავს, რას ეძებ, ტაქსის ჩამიჩუმის არსაიდან არ ისმის. დღისით თუ ჩამოასწარი, კიდევ მოახერხებს კაცი რამეს, მაგრამ ვაი რომ ხშირად მაშინ ჩამოვდივართ, როდესაც მზე ამთავრებს თავის სამუშაო საათებს, და კიდევ ვაი და ვუი თუ ავტოსადგურიდან დაშორებით ვინმეა წასასვლელი. ჩვენი აზრით, თბილისის ავტოსადგური არაფერს წააგებდა, რომ ჩამოსულ მგზავრებს ტაქსები დაახვედროს.

უტაქსოდ დარჩენილები

რედაქტორი—ელგუჯა შალრაძე.


სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კ. ცენტრალური
კომიტეტის
გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 69. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, საერთო განყოფილების—2-13-29.

გამომც. № 20. ხელმოწ. დასაბ. 7/X-1958 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნახ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14.

შეჯ. № 1070. უფ. 06917. ტირ. 40.000.



საქართველო
საზღვაო ძალები

ნახ. გ. ფირცხალავასი

— ეს ხომ წუნარი ოკეანეა, სერ.

— წუნარი კი ჰქვიან, მაგრამ სანაპიროებიდან ისეთი გრიგალი ამოვარდა, წაღეკვას გვიქადის.

